სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილება N01-01/03

(ოქმი N8)

ქ. ბათუმი 25 აპრილი 2019 წ

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად ღია კონკურსის გამოცხადების შესახებ

,,მაუწყებლობის შესახებ'' საქართველოს კანონის 35^{7}-ე მუხლის პირველი პუნქტის, 35^{10}-ე მუხლის, და სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის თანამდებობაზე დანიშვნის (არჩევის) წესის (დამტკიცებული, მრჩეველთა საბჭოს 2016 წლის 16 სექტემბრის N01-01-20 გადაწყვეტილებით) საფუძველზე:

1. გამოცხადდეს ღია კონკურსი სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად. დანართი N1;

2. დამტკიცდეს კონკურსში მონაწილეობის მსურველთა განაცხადის ფორმა. დანართი N2;

3. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქალაქი ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. N30) ერთი თვის ვადაში მისი გამოქვეყნების დღიდან.

4. გადაწყვეტილება გამოქვეყნდეს ვებ-გვერდზე ,,ajaratv.ge''

5. გადაწყვეტილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიო''-ს

მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე

რუსუდან (ნატა) იმედაიშვილი